13206
784 № 7189
№ 83
ს-25
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 1. 1920 წ. კვირა, მარტის 7, წელიწადი პირველი.

83
№ 58
144

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-
სალიტერატურო გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ფრინველობა-მეფუტკრეობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნეები.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ცალი 3 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე, მისამართი დამფუძნებელ კრების ქ. № 5, „საქართველო“-ს ბინაზე.

ჩვენი გაზეთი

ჩვენს ქვეყანაში მრავალი გაზეთი გამოდის. მათ ეხლა ჩვენი ,,სასოფლო გაზეთი'' მიემატება. ჩვენ ახალი გაზეთი გამოვეცით იმიტომ, რომ სხვა გაზეთები ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი სოფლის მოთხოვნილებას და საჭიროებას. სოფელს თავისი გაზეთი უნდა ჰქონდეს, თავისი მოამბე და დამრიგებელი. ვინ იცის რამდენი საქმე აქვს სოფელს გამოსარკვევი, ვინ იცის რამდენი ისეთი გასაჭირი ადგა მას, რომელიც სხვას არ გაუგია და არ სმენია. სასოფლო გაზეთი იქნება სოფლის ცხოვრების სარკე. იქ ჩაისახება ყოველივე რაც აწუხებს ჩვენს სოფელს. იქ აღიბეჭდება ყოველივე უსამართლობა და უწესობა, რომელსაც ადგილი ექნება რომელიმე კუთხეში. სასოფლო გაზეთი გაბედულად და მოურიდებლად ამხილებს ყველას, ვინც სოფლის ხალხის აბუჩად აგდებას მოინდომებს, ვინც მას უკანონოთ და უსამართლოდ მოექცევა.

ჩვენი ქვეყანა დღეს თავისუფალია და დამოუკიდებელი. ის თვითონ მართავს ყველა საქმეებს. დღეს ყოველივე ხალხს უნდა ეკითხებოდეს, ყოველივე ხალხის სურვილზე უნდა სწყდებოდეს. ქვეყანას უნდა მეთაურობდეს ხალხის მიერ არჩეული საუკეთესო საიმედო პირები. ისინი უნდა სწერდენ ისეთ კანონებს, რომელიც ხალხს სურს. ჩვენ ეხლა ხალხური მმართველობა გვაქვს და ყოველივე ისე უნდა მოეწყოს, როგორც ამას ხალხი მოისურვებს.

მაგრამ თუ ხალხი თვალ ახვეული იქნება, თუ ხალხმა ვერ გაიგო ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, ის ვერასოდეს ვერ ამოირჩევს ისეთს პირებს, რომელნიც მისი მოკეთენი იქნებიან.

უცოდინარმა და შეუგნებელმა ადამიანმა იქნება ისეთი კაცი ამოირჩიოს თავის წარმომადგენლად, რომელიც პირველი მისი მტერია. ამიტომ არის რომ ჩვენი გაზეთი გამოდის. ამ გაზეთმა უნდა უთხრას ხალხს სწორი სიტყვა, რომ ხალხი კიდევ შეცდომაში არ ჩავარდეს.

სხვა გაზეთები ძალიან არიან დაშორებული სოფლის ცხოვრებას. იქ არ იწერება ის, რაც აწუხებს სოფლის ხალხს. ჩვენმა გაზეთმა მხოლოდ ის უნდა დასწეროს, რაც სოფლისთვისაა სასარგებლო. ჩვენს გაზეთში მარტო ახალი ამბები კი არ იქნება ჩვენს სოფელსა და სხვა ქვეყნებზე. სასოფლო გაზეთში დაიბეჭდება სხვა და სხვა დარიგება. ჩვენი გაზეთი უამბობს ხალხს თუ როგორ უნდა მოაწყოს მან უკეთ თავისი მეურნეობა. გაზეთში იქნება კიდევ სამკურნალო დარიგება. ჩვენი ქვეყანა ლამის არის ამოსწყვიტოს სხვა და სხვა სახადმა, ავათმყოფობამ. ჩვენი გაზეთი ურჩევს ხალხს, როგორ ებრძოლოს ის ამ უბედურობას, და შეინარჩუნოს თავისი ჯანმრთელობა. სოფლის ხალხმა არ იცის როგორ დაიცვას თავისი საქმეები, როდესაც მას უსამართლოდ ეპყრობიან. მან არ იცის რომელი სასამართლო რა საქმეს არჩევს, სად უნდა მიმართოს სხვა და სხვა საქმეზე. ყოველივე ამაზე დარიგებები იქნება ჩვენს გაზეთში. ასე რომ ჩვენი გაზეთი ეცდება პირნათლად ემსახუროს სოფლის ხალხს. ის თავის ძალ-ღონეს არ დაზოგავს, რომ სოფელს ყველაფერი სწორედ და მართლად გააგებინოს და აუხსნას მას ყოველივე, რაც მას სჭირია.

საუბარი სოფლელთან.

კაცობრიობის ისტორიის უკანასკნელ ოთხი-ხუთი წლის ომიანობით და რევოლიუციით გამოწვეულ არევ-დარევისა და შეხლა-შემოხლის ხანაში ყველა ჯურის ხალხი: ქალაქის მუშა, ხელოსანი, ვაჭარი, სახელმწიფო მოსამსახურე, მღვდელი თუ ბერი ყველა გაერკვა, ყველა გაეცნო თავის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, ყველა დაირაზმა, შეკავშირდა ერთად და ერთის გეგმით ერთის აზრით მოქმედებენ ცხოვრების ალლო ალებულნი ყველა ცალ ცალკე, თავის სასარგებლოდ, თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ყველა ამ ჯურის ხალხს სათავეში ჰყავს ნასწავლი და გამოცდილი ერთგული მეთაურები, რომელთაც კარგათ იციან ცხოვრების კანონები და ის, თუ როდის და რა გზით შეიძლება თავიანთ სასარგებლო საქმე გააკეთონ, თავიანთი ცხოვრება გაიუმჯობესონ. ამისთანა დროს ისინი შეიკრიბებიან, მოილაპარაკებენ, შეკავშირდებიან და ერთად გამოვლენ საქმის გასაკეთებლად: მოსთხოვენ მთავრობას, მექარხნეებს „ხაზეინებს“ გინდა თუ არა ესა და ეს უნდა მოგვცეთ, ესა და ეს უნდა გაგვიკეთოთ. მაგალითად, თუ ქალაქის მუშებს ან ხელოსნებს უნდათ ჯამაგირი და ხელფასი მოიმატონ, ან მუშაობის დრო შეიმცირონ, გაიფიცებიან, მუშაობაზე ხელს აიღებენ ვიდრე მათ არ შეუსრულდებათ გულის წადილი. ასე იქცევიან ვინც თავის საქმეს და მდგომარეობას იცნობს ნასწავლიც და უსწავლელიც.

სოფლის ხალხი კი მუდამ ბეჩავი არის, ვერც ძველად და ვერც ეხლა ვერ გაერკვია თავის მდგომარეობაში, სათავისო ალლო ვერ აუღო ცხოვრებას. თავისი გულუბრყვილობით აქამდე ვერ მიხვდა და როგორ უნდა მოიქცეს, რა უნდა გააკეთოს, ვის უნდა მიენდოს, რომ როგორც სხვებმა, სოფლელმაც თავისი საქმე მოიმარჯოს, მდგომარეობა გაიუმჯობესოს. სოფლის ხალხს არც თავისი გულშემატკივარი გამოცდილი მეთაურები და ბელადები ჰყავს, თავის საქმე ბედის სანაბარაზე აქვთ მიგდებული და მიწაში თავჩახრილი ნამგლით თუ თოხით მუდამ ოფლში გაწურული მხოლოდ მუშაობაში ატარებს დროს. ან კი რა უნდა ჰქნას სოფლელმა, როცა სწავლა—გამოცდილება, ცოდნა არა აქვს, როგორ მოუაროს თავის საქმეს, როგორ გამოსთქვას და ვის შესჩივლოს თავის ჭირ ვარამი. ვერ გაეფიცება ვერავის, ვერავის, მოსთხოვს როგორც ამას აკეთებენ ქალაქში: დავიღალე მუშაობით, მეც ეხლა მხოლოდ რვა საათი უნდა ვიმუშაო დღეშიო, რადგან ეს საკუთარი საქმის ღალატი იქნება, თუ თავის დროზე არ მიხედა თავის საქმეს, მიწაში ოფლი არ ჩაღვარა, სოფლელს არავინ არაფერს მისცემს და თითონვე დარჩება ულუკმაპუროთ,

ამისთვის არის რომ სოფლის ხალხი ყოველთვის დაჩაგრული იყო, ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა იმ დროს, როცა თითქმის ყველამ მოიმარჯვა თავის საქმე. სოფლელმა მიწაც კი ვერ მიიღო თავის ნებაზე.

ეს კი ხდებოდა იმიტომ, რომ სოფლის ხალხი დაშორებული იყო სწავლა განათლებას, მას არ შეეძლო საკუთარი ჭკუით და გონებით ემოქმედნა თავის სასარგებლოდ, უნარი გამოეჩინა, თავისი ძალა ეჩვენებინა ყველასათვის, გარკვევით მოეთხოვნა და მიეღო ის, რაც მას ესაჭიროებოდა, როგორც მას ერჩივნა. სოფლის ხალხმა ვერც მიწა მიიღო თავის გემოზე, ვერც ტანისამოსი, ვერც სათესლე და მიწის იარაღი; ვერც ექიმი და ვერც წამალი. ერთი სიტყვით სოფლის ხალხმა ვერ გამოიყენა თავისი ძალა, რომ სათავისო საქმე გაეკეთებინა.

პირიქით, სოფლის ხალხს და სოფლის ხალხის ძალას სხვები იყენებენ თავის სასარგებლოდ. უგზავნიან მქადაგებლებს, აძლევენ ათას დაპირებას, სამოთხეს ჰპირდებიან, აარჩევინებენ მთავრობის კაცებს და ბოლოს კი გამოირკვევა ხოლმე, რომ სოფლის ხალხი მოტყუილებით მიიმხრეს სხვებმა იმიტომ, რომ თავისი სასარგებლო კაცები აერჩიათ, თავის საქმე გაეკეთებინათ, ტანისამოსიც მიეღოთ, პურიც, წამალიც, იარაღიც და კარგი ჯამაგირებიც. სოფლის ხალხი კი მუდამ მოტყუებული რჩება, მას არაფერი მიუღია, არავინ დახმარებია. მთავრობაში არჩეულ კაცებში ყველანი არიან: ქალაქის მუშაც, ხელოსანიც, ვაჭარიც ნასწავლიც და უსწავლელიც. მხოლოდ სოფლის ხალხს არა ჰყავს მთავრობაში არჩეული არც ერთი ისეთი კაცი, რომელიც

კვირიდან კვირამდე

საქართველოში ჩამოვიდნენ ყაზახ-რუსთა წარმომადგენლები. რომელიც საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ამ ნახევარი წლის წინად დენიკინის მიერ გამოცხადებულ საქართველოს გარემოცვა დენიკინმა გაუქმა, ამის შემდეგ იქიდან სანოვაგის შემოტანას რუსეთი ხელს აღარ შეუშლის.

ქართველ მაჰმადიანებმა ინგლისის უმაღლეს წარმომადგენელს უორდროპს სთხოვეს რათა ბათუმის ბედი საჩქაროდ გადასწყდეს.

საქართველოს მთავრობამ განაცხადა რომ არავითარ ძალის წინააღმდეგ არ შესდგება და იგი ბათუმის ოლქში მაინც შევა.

ბოლშევიკები დენიკინზე იმარჯვებენ.

ბოლშევიკებმა ამერიკას, ჩეხო-სლოვაკიას და რუმინეთს შერიგება სთხოვეს.

ნამდვილად სოფლის ხალხის ჭირ-ვარამზე იზრუნავს, სოფლის საჭირო საქმეებს გააკეთებს, თუმცა კი თითქმის ცხრა მეათედი არჩეულ კაცებისა სოფლის ხალხის მიერ არის არჩეული და სოფლის ხალხის სახელით სხედან იქ, სხვის სამეს კი აკეთებენ. ეს კი ხდება იმიტომ, რომ სოფლის ხალხი თავის უცოდინარობით ვერ ირკვევა, ვერ იცის ვის მისცეს ხმა, რომელ ნომერს და რომელ ნომერზედაც მქადაგებელი ეტყვის, სოფლის ხალხიც მას უჯერებს და იმის ქაღალდს ჩააგდებს ყუთში. ასე სარგებლობენ სოციალისტური პარტიები სოფლის ხალხის უცოდინარობით და ბოლოს თავის საქმეს აკეთებენ, სოფლელი კი ისევ უპატრონოდ და ღვთის ანაბარა რჩება.

და რომ ეს ყოველთვის ასე არ მოხდეს, სოფლის ხალხმა უნდა საკუთარი გონებით და მიხვედრილობით გაიგოს თავის ავ-კარგი, უნდა ჩაუკვირდეს თავისაქმეს, ყურიდან ბამბის ძველა გამოიღოს და ისე ადვილად აღარ მოატყუვდეს. უნდა თითონ მიხვდეს ვინ არის მისი მოყვარე ვინ მტერი, ვინ ცარიელა სიტყვებით ჰპირდება და ატყუებს, ვინ მართალს ეუბნება და კარგ გზაზე არიგებს. არ უნდა დაუჯეროს მატყუარა მქადაგებლებს და მათ დაპირებას. თავის ხმა უნდა მისცენ და უნდა მიენდონ ისეთ ხალხს ან პარტიას, რომელნიც მართლა სოფლის ჭირვარამზე იზრუნებენ, ვინც არც მეტსა ჰპირდება და არც ატყუებს, თორემ სოფლის ხალხი მუდამ ასე დაბეჩავებული და აბუჩათ აგდებული დარჩება და სხვები კი ამით ისარგებლებენ.

სოფლის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაჰყოფს, ტყუილად თავს არავინ შეიწუხებს და როცა სოფელში მიდის ვინმე საქადაგებლად და ათას რამეს ჰპირდება, ადვილად არ უნდა ენდოს ლამაზ სიტყვებს, უნდა იცოდეს რომ ყველას საკუთარი სატკივარი აღარდებს.

ამიტომ სოფლის ხალხშიც უნდა გონება გაიმახვილოს, კარგად ჩაუფიქრდეს, თავის გაზეთი წაიკითხოს კარგა გაიგოს რომელ ქვეყანაში რა და როგორ ხდება და იმ პარტიას მიემხროს, რომელიც მისთვის იზრუნებს და არ მოატყუებს.

ექიმის საუბარი.

პირველი

ვინ არ იცის, რა ძვირფასი რამ არის ჯანმრთელობა და რამდენად საჭიროა იგი ყოველი ადამიანისათვის. მაგრამ განა აფასებს ამას ვინმე, ან ყურადღებას აქცევს? სრულებითაც არა. სანამ კარგად არის ადამიანი და არც არაფერი სტკივა, ის არც კი ჰფიქრობს თავის ჯანმრთელობაზე. მაგრამ თუ ვისმე რამე ასტკივდა ან და ავადმყოფობამ დარია ხელი, აი მხოლოდ მაშინ მოაგონდება ყველას და მოენატრება ჯანის სიმრთელე. სამწუხაროდ, ასეთი მოგონება ხშირად დაგვიანებული არის ხოლმე და ადამიანი ისე ზიანდება, რომ სამუდამოდ სუსტდება ან და სულ ეთხოვება წუთი სოფელს.

ხომ ყველამ იცის ძალიან კარგად, როგორი ყურადღება სჭირდება შინაურ პირუტყვის მოვლასა და შენახვას. კარგი მუშა კაცი ხარ-კამეჩს, ძროხას ან ცხენს ისე კარგად ინახავს, ისე ერთგულად ეკიდება, რომ, რამდენადაც შეიძლება, ცდილობს მათ ზიანი ააშოროს. თუ ასე არ მოიქცა, ეს მისთვის დიდათ საზარალო იქნება. და თუ ყურადღებით მოეპყრა მაშინ დიდათ მოგებული დარჩება და დიდ სარგებლობასაც მოატანინებს მათ.

კარგმა მომვლელმა ისიც იცის, თუ როდის უნდა ამუშაოს სასარგებლო პირუტყვი, ან როდის დაასვენოს, როდის ასვას და აჭამოს. სად და როგორ დააბინავოს.

სწორედ ასეა ადამიანის სხეულიც. მის მოვლასაც ცოდნა და გამოცდილება უნდა. კარგი მოვლა-პატრონობით ისიც დიდხანს სძლევს და კარგადაც მუშაობს. და თუ ხელისშეწყობა არ ექნა, სხეულიც მალე იშლება, ნაადრევად ესპობა მუშაობის უნარი და საბოლოოდ ელება მას ბოლო.

ყველაფერს ამას ცოდნა და დაკვირვება უნდა. ადამიანმა ბევრი რამ იცის, ზოგი გამოცდილებით, ზოგიც სხვისი გადმოცემით, მაგრამ ბევრი რამ აკლია მის გამოცდილებას და ამას შესწავლა უნდა. ამ შესწავლას კი ცხოვრებაში გამოყენება უნდა.

ბევრი რამ უბედურება, რაც ხშირად ადამიანს თავის უცოდინარობით თავს დაატყდება. მას ღვთის რისხვა ჰგონია, ან კიდევ სხვა რამ უცნაური მიზეზით გამოწვეული, რამე მავნე ძალისაგან შემთხვეული. ნამდვილად კი ხშირად თვითონ არის ამის მიზეზი.

რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა კაცმა იცოდეს, რა აზარალებს მას, რა აზიანებს მის ჯანმრთელობას და პირიქით რა უწყობს ხელს. ასეთი ცოდნით ბევრი უსიამოვნების აცდენა შეიძლება. მით უფრო, რომ ეხლა მეცნიერებამ ბევრი რამ გამოიკვლია და გაიგო, რაც წინად მიუგნებელი იყო.

ჩვენც შეძლებისადაგვარად ვეცდებით ამ პატარა საუბრებში ისეთი რამ გაუზიაროთ მკითხველს, რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მაგალითად, მოკლედ ვეტყვით რა ავნებს სხეულს რა აზიანებს მის ჯანს, საიდგან და როგორ ეძლევა ეს ზიანი, რა უწყობს ხელს ადამიანის ავადმყოფობას, რა ავადმყოფობაა უფრო საშიშო, როგორ უნდა აიცდინოს კაცმა ეს ავადმყოფობა, რა მტერი ახვევია ადამიანს, როგორ უნდა შეებრძოლოს მას და ბევრი რამ ასეთი უუსაჭიროესი ცნობები უნდა შეიძინოს თვითეულმა, რომ იგი არ დასჩაგროს გარემოებამ და უდროოდ არ დააძაბუნოს. ამით კაცი ყოველთვის კმაყოფილი დარჩება და სასიამოვნოდაც შეაბერდება ამ წუთი-სოფელს, რომელიც ყველასათვის ტკბილია. ჯანმრთელობის დროს და მეტად მწარე ავადმყოფობის დროს.

და თუ ამ სიმწარის აშორება გვინდა, ნურც იმ პატარა შრომას დავიშურებთ, რომელიც დაგვჭირდება საჭირო ცოდნის შეძენისათვის და შემდეგ ამის განხორციელებისათვის.

ჩვენი ტურფა საქართველოს ბუნება მეტად მდიდარია, მტერსაც კი თვალი რჩება ზედ, და განა დასანანებელი არ არის, რომ ასეთ სამოთხისებურ ქვეყანაში ადამიანი ვაი-ვაგლახით სცხოვრობდეს და ავადმყოფობით იმწარებდეს თავის დღეს! რასაკვირველია, დასანანებელი არის და ჩვენც უნდა ვცდილობდეთ, თავი დავაღწიოთ ზედმეტ უბედურებას და დიდხანს შევირჩინოთ მაგარი სხეული, მხიარული გული და ცოცხალი ხასიათი, რაც კი უნდა ამშვენებდეს განახლებულ საქართველოს თვითეულ შვილს.

შემდეგ წერილში ვიბაასებთ იმ მტრებზე, რომელნიც სულ მუდამ ჩვენ ახლოს არიან, ავადმყოფობას ვგძენენ ჩვენით სულდგმულობენ, ჩვენი ზიანის მეტს არას აკეთებენ და ხშირად დღესაც გვიმოკლებენ.

განა ეს ასატანია? ლ.

სასოფლო მეურნეობა

რგვალი ბადრიჯნის (პამიდორი) მოვლა-მოყვანა.

რგვალ ბადრიჯნის სამშობლო საფრანგეთია და ჩვენშიც მას ბოსტნეულობაში პირველი ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, მისი მოვლა-მოყვანა ბევრმა არ იცის, ამისთვის გადავსწყვიტე ჩვენ სოფლის მკითხველებს გაუზიარო ჩემი პატარა გამოცდილება. რგვალ ბადრიჯნის დათესვა შეიძლება ბევრ ნაირათ: 1) თუ მებოსტნე ისეთი მოწყობილია რომ შუშაბანდიანი ყუთები (პარნიკი) აქვს და უნდა ადრე მოიყვანოს—უნდა დათესოს ადრე შუშაბანდში და იქიდან მერმე გადარგოს საბოსტნეზე; მაგრამ ჩვენში შუშაბანდიანი ყუთების გაკეთება ძნელია და ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია. იმისათვის შეიძლება კიდევ მეორე ნაირად დათესვა: აიღებთ რა ზომისაც გნებავსთ ხის ყუთს, ჩაჰყრით შიგ პირველად ცხენის ახალ ფეინს (ნეხვს), ზევით ორი გოჯის სისქეზე მოაყრით დამწვარ ნეხვში არეულ მიწას და იმაში დასთესავთ შუა იანვრიდან. ყუთი უნდა დასდგათ თბილ ადგილას, უკეთესია თუ მზიან ოთახში იქნება, ყოველ შემთხვევაში სითბო უნდა უნდა ჰქონდეს. თბილ მზიან ამინდში ყუთი გარეთ უნდა გამოიტანოთ და საღამოს ისევ სახლში შეიტანოთ. როცა ყუთში მიწას პირი გაუხმება, უნდა მორწყოთ ამ ნაირათ დათესილი მარტიდან აპრილამდის საბოსტნეზე გადასარგავი იქნება.

მესამე ნაირი დათესვა ისეთია, როგორც საზოგადოდ ყოველი ბოსტნეულის: ე. ი. მიწა უნდა დამწვარი ნეხვით შეზავდეს და ისე უნდა დათესოთ მხოლოდ ასეთი ნათესი უფრო გვიან შემოდის.

დარგვა და მოვლა.

რგვალ ბადრიჯანს უყვარს კარგათ მოხნული და დამწვარი ნეხვით, შეზავებული მიწა. მიწა უნდა დაიკვალოს და დაირგოს მწკრივად $1^{1}/_{2}$ არშინზე ერთი მეორისაგან, მთელ მისი ფესვებით მიწაში უნდა ჩაირგოს. თუ გვალვა შეუხვდა დარგვის დროს, საღამოს წყლით უნდა დარგოთ და სანამ კარგად არ იხეირებს, დღეგამოშვებით ყოველ საღამოს უნდა მორწყოთ თითეულ ძირს რგვალ ბადრიჯნისას უნდა მიუსოთ ჭიგო (სარი) და ზედ თანდათანობით აკრათ. ბადრიჯანი სამჯერ მაინც უნდა გაითოხნოს, რომ უბრალო ბალახმა არ შეაწუხოს. გვალვებში თუ შეიძლება უნდა მორწყოთ, რადგან მორწყული ნაყოფს მეტს იძლევა.

რგვალი ბადრიჯანი ნოტიო ადგილზე თითქმის ერთ საჟენზე იზრდება და ქვიშაზე კი ორ არშინამდე; მებოსტნის უმთავრესი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ბადრიჯნის გაკვირტნაზე რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბადრიჯნის მოსავლის სიმრავლეზე და სოფელში როგორც ვიცი მისი გაკვირტვა სრულადაც არავინ იცის დარგვის და გარების შემდეგ ყოველ მესამე დღეს ბადრიჯანი უნდა დაათვალიეროთ და კვირტებში ამოსული ახალი ყირტი უნდა მოაცილოთ ე. ი. გაკვირტოთ როგორც ვენახი.

რგვალი ბადრიჯანი საშინელ ბევრ ყლორტებს იძლევა და თუ არ გაიკვირტა ის დიდ ბუჩქათ იქცევა და ნაყოფს ვერ მოგცემთ.

ერთი სიტყვით ჭიგოზე აკრული ბადრიჯანი შუა მკათათვემდის უნდა გაიკვირტოს და ამნაირათ მოვლილი ბადრიჯანი თითო ძირი მოგცემთ $^{1}/_{2}$ ფუთს ან კიდევ უფრო ნაყოფს. გაკვირტული ბადრიჯანი ძირიდან წვერამდე ივსება ნაყოფით მწიფდება კარგად, და ადრეც შემოდის, და არის გიორგობისთვემდე ბადრიჯანი თავისი ავადმყოფობა აქვს. ეს უხდება ძლიერ ნოტიო ამინდებისაგან: ძირიდან ფოთლები უხმება, ყვავილები უჭკნება და და თუ მოასწრო ნაყოფის გამოტანა ისეც ულპება ამ წენის ასაცილებლად ძლიერ კარგია „ბორდოს სითხე“ ე. ი. შაბიამანი და კირი შეზავებული ისე, როგორც ვენახისათვის ხმარობენ და მორწყოთ, როგორც ვენახი, მანქანით მოაპკუროთ და ბადრიჯანიც გადარჩება და არც დალპება და არც გახმება.

კოკონია დგებუაძე.

მცენარეთა გადარჩენა ყინვისაგან.

ყინვიანი ზამთარი ხეხილს ძალიან ვნებს იმით, რომ ჰყინავს ხის ქერქს (კანს), რომელიც ხისათვის იგივეა რაც კაცისათვის ტანისამოსი. ქერქი ხეს სწორედ მისათვის აქვს, რომ მეტის სიცივისაგან და სიცხისაგან დაიფაროს. ხე ძალიან იშვიათად იყინება, მაგრამ თუ გაიყინა დამძრალი ხე ველარ სცოცხლობს და გაზაფხულამდე ხმება. უფრო ადვილად დასძრება ნორჩი ხეხილი. ხეს აზარალებს ისეთი ყინვა, რომელიც მოჰყვება ხოლმე თბილ მზიან დღეს. თბილ დღეში მზე ხეხილს ქერქს უთბობს და მასაზრდოებელ წვენის მოძრაობას იწყებს. ღამის ყინვა კი მისთვის საგრძნობი ხდება და ის მხარე რომელიც ხეს მზისკენ ჰქონდა მიქცეული სძრება და უზიანდება. ამ სენის ასაცილებლად საჭიროა ხეს წაესვას კირი. კირის თეთრი ფერი მზის სხივებს იცილებს, არ იღებს და იფანტავს, ამიტომ ხეს ქერქი აგრე რიგათ აღარ უთბება და ღამის ყინვაც ისე, ძლიერ ველარ მოქმედობს და ხეს ველარ სძრავს. ამისათვის ხეხილს კირის წასმა მაშინ სჭირდება, როცა მზე მაღლა მაღლა იწევს და სითბო მატულობს.

არჩევნები აფხაზეთში.

ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში შარშან მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. არჩევნები გადადებული იყო აფხაზეთში: არჩევნები არ მომხდარა კიდევ აჭარა-ქობულეთში, რომელიც დროებით ჩამოშორებული იყო საქართველოს. ეხლა არჩევნები მოხდება აფხაზეთში და კიდევ მოხდება აჭარა-ქობულეთში, როგორც კი ეს ქვეყანა დაუბრუნდება თავის დედა სამშობლოს-საქართველოს.

არჩევნები ხალხის დაკითხვაა ხალხმა უნდა ამოირჩიოს თავისი წარმომადგენელნი, რომელნიც დასწერენ კანონებს და დანიშნავენ მთავრობას. თუ ხალხი ცუდი მიმართულების კაცებს აირჩევს, მაშინ კანონიც ცუდი დაიწერება და მთავრობაც ცუდი დაწესდება. ამიტომ ხალხი ძალიან უნდა უკვირდებოდეს თავის საქ-

მეს არჩევნების დროს. ის არ უნდა აჰყვეს ცარიელ სიტყვებს და დაპირებებს. როცა არჩევნები ხდება, მაშინ ხალხს ყველა კარგს ჰპირდება, მაგრამ როცა არჩევნები თავდება დაპირებას ბევრი არ ასრულებს. ასე რას არ დაჰპირდენ ხალხს სოციალისტები: სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, რევოლიუციონერები და ბოლშევიკები? ყველაფერს მუქთად მოგცემთ, ყელამდე გაგაკეთებთო. ეხლა ყველა ხედავს, რომ მათ ხალხს ვერაფერი სიკეთე ვერ მისცეს.

დაპირება ადვილია, მაგრამ მისი შესრულება კი ძნელი.

თუ შესრულება არ შეგიძლია, არც უნდა დაჰპირდე კაცს.

ამ სოციალისტურ პარტიებს გარდა, არჩევნებში გამოვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეს პარტია ახალია მხოლოდ სამი წელიწადი იქნება რაც დაარსდა, მაგრამ ხალხმა ის მალე გაიცნო და ეხლა სოფლის და ქალაქის მცხოვრებნი ამ პარტიას დიდის ნდობით უყურებენ. ამ პარტიას ხალხი იმიტომ ენდობა, რომ ის არავის არ პირდება იმას, რის განხორციელებასაც ვერ შესძლებს. ის ხალხს ეუბნება: ყოველი ძალა შენს ხელშია. თუ დაუჭერ მხარს ეროვნულ-დემოკრატებს ის შენს ცხოვრებას ისე მოაწყობს როგორც ეს არის განათლებულსა და კარგათ მოწყობილ ქვეყნებში. სიტყვებსა და დაპირებებს თავი დავანებოთ, მოვკიდოთ ხელი მუშაობას სოფელში და ქალაქში და ჩვენ გვექნება ყოველივე საზრდო და ჩასაცვამ დასახურავი, თუ ისე ვიწარმოებთ, როგორც სხვა ქვეყნებში არის, ჩვენს ქვეყანაშიც იქნება წესრიგი, მშვიდობიანობა, კანონიერება. ჩვენშიაც შეიქნება დოვლათი სიმდიდრე დამშეული და გატიტვლებული ხალხი სულს ამოითქვამს. ყველგან მთავრობათ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას აწესებენ. შენც ასე მოიქეცი და საქმეც გამოსწორდებაო.

ამ სამი წლის განმავლობაში ხალხი სოციალისტებს უჯერებდა მაგრამ ეხლა ხალხს მათზე გული გაუტყდა და ამიტომ უფრო ეროვნულ-დემოკრატებისკენ იხრება.

კახელი გლეხი

მ უ ხ ა.

გულთა მხილაო! ჩვენ ცოცხალი ვართ
შენც კარგა უწყი, იცის სხვამაცა;
რომ წავიქეცით მუმლი და ქინქლა
სწორედ ამოციქრმა გაამამაცა.

ეგონათ ძალა აღარა ჰქონდა,
რაკი დავეცით, ჩვენს აღმზრდელ ფესვებს,
და ყველა ერთად ზედ დაგვესია
როგორც სჩვევია ლაჩართა წესებს.

მაგრამ ძველ მუხის გამდგარ ძირ-ფესვებს
ცის გუმბათისკენ ეპყრათ თვალები:
ცვარ-ნამით მიწა რომ ფუყდებოდა
იქ ღვივდებოდნენ ჩვენი ძალები.

და აჰა ძირზე კვლავ ავიფეთქეთ,
დავისხით ხშირი ფოთოლ-რტოები.
კვლავ დავაპურეთ ჩვენის ნაყოფით
როგორც ღორები, ისე ხბოები.

ყველა ესენი სურვილ-ნებაზე,
როდესაც კარგად გაძღებიან,
სანამდის კიდევ მოშივდებოდენ
აგრილებამდის ჩვენ ქვეშ წვებიან.

ვინ უშლის ამათ სიამოვნებას,
თუ არ თვალით ბრმა და ენა მრუდი;
ღორებს დინგებში მიწისკენ მიაქვთ
და არ იციან რომ გვხურავს ქუდი!

მაღლა ახედვის მშოლ დაუკარგავთ,
მაღლის მაგიერ იმღვირებიან:
რკოთი გაძღომას არა კმარობენ
და ფესვებისკენ გვეტანებიან.

და ჩვენ-კი გვინდა გძელი სიცოცხლე
მზიურ ცათ ქვეშე, მზიურმიწაზე,
და ვიდრე ერთი ვარსკვლავი ბჟუტავს
ჩვენის მედისა მოწმენდილ ცაზე.

ჩვენი წასდენა აღარ იქნება,
გამოიფშვნიტონ კარგად ყურები...
დაჰქროლე მედგრად ძლიერო ქარო,
შორს ჩვენგან ჩვენი უმადურები!..

შიო მღვიმელი.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი

▤ **ახალი ქართული გემის ჩაშვება შავ ზღვაზე** მარტის 3-ს შუადღის 2 საათზე ფოთში შავ ზღვაში ჩაუშვეს ხალი სამ-ანძიანი ქართული გემი „ქართლი“ გემის ჩაშვების დღესასწაულს დაესწრნენ დამფუძნებელ კრების წევრნი: სპ. კედია და ალ. ასათიანი.

▤ **აჭარის** ზოგიერთ ადგილებიდან საქართველოს სთხოვენ ჩეტნიკებისაგან დაცვას.

▤ **საქართველოს ბლოკადის** (**გარემოცვის მოხსნა**) სამხრეთ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, საქართველოს ბლოკადა მოეხსნას. ეს ამბავი ეცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს.

ამ რიგად ამ დღეებში აღდგენილ იქნება საფოსტო და სატელეგრაფო კავშირი რუსეთთან, რადგანაც თბილისი უკვე შეერთებულია კავკავთან, შესაძლებელი ხდება დეპეშები გაეგზავნოს ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის ყველა ქალაქებში.

▤ **გორში დაზარალებულებისათვის** თერგის მთავრობამ სამი მილიონი მანეთი გადასდო.

▤ **პური საქართველოსთვის** ნოვოროსიისკის ნავთსადგურიდან საქართველოში წამოვიდა ორი ორთქლმავალი საქართველოს მოსახლეობისათვის პურით დატვირთული.

რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა?

ეხლანდელი საქართველო. თავის წესწყობილებით არა ჰგავს არც ძველ რუსეთს, არც ძველ საქართველოს.

ძველად საქართველოში, იყო მეფე და ის განაგებდა ქვეყნის საქმეებს. რუსეთში იყო იმპერატორი, ის იყო უმაღლესი გამგე და ბრძანებელი. მისი ბრძანებით ინიშნებოდა გუბერნატორი და მაზრის უფროსები, მოსამართლე და სხვა მოხელეები; მისი ბრძანებით გაიწვევდნენ ხოლმე ჯარის კაცებს, ახდევინებდნენ ხალხს გადასახადებს და მერე ჰხარჯავდნენ ხოლმე ამ ფულს მხოლოდ მისი ბრძანებით.

თვითონ ხალხს, რომლის ზურგზე ჰხდებოდა ხოლმე ყველა ეს ჰპან წყვეტა, არ ჰქონდა არავითარი უფლება ხმა ამოეღო, ეთქვა რამე და მით უფრო გაეწია რაიმე წინააღმდეგობა, იგი ვალდებული იყო მხოლოდ აესრულებინა ის, რასაც უბრძანებდნენ, თითქო სახელმწიფო საქმეები იმას სულ არ შეეხებოდა.

ეხლა ყველაფერი ეს გამოიცვალა.

მსოფლიო ომმა და რევოლიუციამ ერთბაშად გადაატრიალა ეს წყობილება.

ეხლა ყველა ის უფლება, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს ან იმპერატორს, ეკუთვნის ხალხს. ეხლა მეფე ან იმპერატორი არ არის სულ, ეხლა იმათ ადგილას გამოდის ხალხი, გამოდის მთელი ერი, ან, როგორც ძველი ბერძნები ეძახდნენ ხოლმე, —**დემოსი.**

ეხლა ხალხია, ეხლა მთელი ერია უმაღლესი გამგე და მბრძანებელი. ამ მართვა-ბრძანებლობას ბერძნულად ჰქვიან **კრატეო.** ამ სიტყვებიდან წარმოსდგა **დემოკრატია.** ეს სიტყვა ჰნიშნავს ისეთ სახელმწიფოებრივ წყობილებას, სადაც უმაღლესი უფლება ან ხელმწიფობა ეკუთვნის ხალხს, მთელ ერს.

ამ წყობილებაში მხოლოდ ხალხის სურვილზე და მის ნებაყოფლობაზე არის დამოკიდებული ყოველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგება. არც მოხელეების დანიშვნა, არც ჯარში გაწვევა, არც გადასახადების აკრეფა, არც მათი დახარჯვა, არც სხვა რამე საზოგადო ან სახელმწიფო საქმე არ შეიძლება მოხდეს ეროვნული სურვილის და ნების წინააღმდეგ. ყველგან, ყოველ სახელმწიფო საქმეში აუცილებელია ერის დასტური და ნებართვა, მთელი ქვეყნის აზრი და შეხედულება, ეს ეროვნული სურვილი, სისწორით და შეუცდომლად გამოთქმული, არის **კანონი**, სავალდებულო ყველასათვის.

წინად კანონი იყო მეფის ან იმპერატორის ბრძანება.

ეხლა კანონია—მთელი ერის ან დემოკრატიის ბრძანება.

გადატრიალდა ქვეყანა: იმპერატორის ტახტი დაიჭირა დემოკრატიამ ე. ი. ხალხმა, ანუ მთელმა ერმა.

⁂

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ხალხის სურვილი?

მთელი ერი მცირე-რიცხოვანი რომ იყოს, ადვილი იქნებოდა მისი შეკრება ერთ ადგილას, ადვილი იქნებოდა ყრილობა. მაშინ ამ ყრილობაზე გადაწყდებოდა პირდაპირი მსჯელობით და ხმის მიცემით ყოველი სახელმწიფო საკითხი. მაგრამ სახელმწიფო არ შესდგება ერთი და ორი სოფლისგან. საქართველოში, მაგალითად, სამ მილიონამდე მცხოვრებია. იმათ შორის ერთი ან ერთ-ნახევარი მილიონი მაინც იქნება სრულ წლოვანი მოქალაქე. ყველა ამ ხალხის მოყრა სადმე ერთ ადგილას, მით უფრო ხანგრძლივი ყრილობა, ყოვლად შეუძლებელია.

ამიტომ ეროვნული სურვილის გამოსარკვევად ხდება ხოლმე არჩევნები ხალხის წარმომადგენლებისა.

არჩევნები არის პირდაპირი დაკითხვა ხალხისა მისი სურვილის და საჭიროებების შესახებ ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს, მერე იკრიბებიან ერთად ეს წარმომადგენლები და სცდილობენ ყოველი საკითხი, ყოველი საზოგადო და სახელმწიფოებრივი საქმე, გადაწყვიტონ და მოაწესრიგონ ისე, როგორც ამას მოითხოვს ხალხის სურვილი და მისი კეთილ-დღეობა.

ამ ეროვნულ წარმომადგენელთა საკრებულოს ჰქვიან **პარლამენტი.**

მაშასადამე, პარლამენტი არის, ან უნდა იყოს, რამდენადაც კი შეიძლება, ნამდვილი და სწორი სურათი მთელი ერის სურვილისა.

მაგრამ ხალხის სურვილი, ხალხის ნება, შესდგება კერძო პირთა სურვილებისაგან. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ კერძო პირს, ან უკეთ რომ ვსთქვათ—ყოველ სრულ წლოვან მოქალაქეს უფლება ჰქონდეს მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

ამას ჰქვიან საარჩევნო უფლება. ამ უფლების საშუალებით ყოველი მოქალაქე გამოსთქვამს ხოლმე თავის სურვილს და თავის ხმას აძლევს ისეთ წარმომადგენელს ან ასეთ საკანდიდატო სიას. რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება მის სურვილს და მიზანს.

ამ ნაირად ხმა თითეული მოქალაქისა არის გამომხატველი კერძო სურვილის, პიროვნულ სურვილისა. მართალია, ეს პიროვნული სურვილი მხოლოდ წვეთია იმ დიდ ზღვაში, რომელსაც ჰქვიან ეროვნული ნებისყოფა მაგრამ მაინც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა: იმას შეუძლიან მიემატოს ბევრ სხვა ხმებს და ცოტად თუ ბევრად გადაჰხაროს იქით თუ აქეთ მიმართულება ეროვნული ნებისყოფისა.

ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საერთო არჩევნებში. ამ საერთო არჩევნების შედეგია პარლამენტი პარლამენტი კი არის გამომხატველი მთელი ხალხის სურვილის და ნების ყოფისა მაშასადამე, თითეულ მოქალაქის სურვილი და ნებისყოფა სცემს ყოველ საპარლამენტო მუშაობაში.

⁂

ამ ნაირად დემოკრატიულ სახელმწიფოში თითეული მოქალაქე თვითონ არის ერთ და იმავე დროს მეფე და ქვეშევრდომი, კანონ-მდებელი და კანონის ამსრულებელიც, მბრძანებელი და ბრძანების მორჩილი.

ეს დედა-აზრი გატარებული რომ იქმნეს ცხოვრებაში, მთელი წყობილება ისეთი უნდა იყოს, რომ ადამიანი დარჩეს მართლა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფლ ადამიანს შეუძლიან თავისუფლად მისცეს ხმა ვისაც უნდა და მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ცხოვრებაში. ამიტომ პარლამენტი თვითონ იმუშავებს საჭირო კანონებს და თვალ-ყურს ადევნებს ამ კანონების შესრულებას.

პარლამენტს ევალება არა მარტო კანონების გამოცემა, არამედ აგრეთვე მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი, მიმართული ხალხის თავისუფლების და კეთილ დღეობის დასაცავად. გავა ხანი, ორი ან სამი წელიწადი, და ბოლოს თვითონ პარლამენტი უნდა წარუდგეს ხალხს და ანგარიში მისცეს მას თავის მოღვაწეობაში. ეს არის ახალი არჩევნები. ყოველ ორ ან სამ წელიწადში ჰხდება ხოლმე ახალი არჩევნები პარლამენტისა. მაშინ ხალხს აქვს სრული უფლება რიგიანად დააფასოს უწინდელი პარლამენტის მოღვაწეობა და ახალ არჩევნების საშუალებით სულ ერთიანად გამოცვალოს მისი შემადგენლობა, აირჩიოს სულ ახალი წარმომადგენლები.

ამ ნაირად ბოლოს და ბოლოს ყველაფერი უბრუნდება ისევ ხალხის მეთვალყურეობას, მის კონტროლს, მის დაფასებას.

უმაღლესი ხელმწიფობა ეკუთვნის მაინც ხალხს.

ამას ჰქვიან დემოკრატიული წყობილება.

მისი დედა-აზრია—თავისუფლება და თან სწორობა ყოველი მოქალაქის.

გ. გ.

მიწის ძვრა

თებერვლის 19 ს ღამის 3 საათზე, თითქმის მთელ საქართველოში საშინლად მიწა იძვრა. მიწის ძვრამ საშინლად გაანადგურა გორი, და მის გარშემო მდებარე სოფლები: იმ ხვერპლა მრავალი ადამიანი, დიდი თუ პატარა ქალაქი ნანგრევებშია, ქუჩებში შეხვდებოდით საზარელ სურათებს აქ დედა მისდგომია ნანგრევებს და დასტირის თავის შვილს რომელიც ნანგრევებში მოყოლილა, იქ შეშლილი სახით ბავშვები დაეძებენ მამას. გზებზე ქალები და ბავშვები მოწყალებას ითხოვენ.

ქ. გორში ითვლებოდა ოცდათხუთმეტი ათასი მცხოვრები.

დაზარალებული სოფლები.

დღემდის შეკრებილი ცნობებით, დაზარალებულია სამოცდაათამდე სოფელი ამათგან ოცდა ათში სახლები სულ დანგრეულია და დანარჩენ ოცში კი გადარჩა ნახევარი სახლებისა. ეს აიხსნება იმით, რომ ამ სოფლებში მიწისძვრა შედარებით უფრო სუსტი იყო,

სოფლებში დაზარალდა რვაათასი კომლამდე, რაც შეადგენს დაახლოვებით ორ-

მოცდაათას სულს ქ. გორიანად, დაზარალებულთა რიცხვი უდრის სამოცდა თხუთმეტ ათას სულს.

დღემდის ამოღებულია ნანგრევებიდან ორასზე მეტი მკვდარი.

დაახლოვებით ადგენიევა მძიმედ დაშავებული. მსხვერპლის შედარებითი სიმცირე იმით აიხსნება, რომ პირველი მიწის ძვრა მოხდა ნაშუადღევის სამ საათზე; მაშინ სახლები ბევრი არ დანგრეულა. შეშინებული ხალხი გარედ გამოცვივდა და სახლებში აღარ შესულა. მიწისძვრა განმეორდა ნაშუადღევის სამ საათზე, და როგორც გორი, ისე დაზარალებული სოფლების უმეტესი ნაწილი დაინგრა; ღამის ძვრისგან შეშინებული ხალხი სახლებში აღარ ყოფილა და ამიტომ გადარჩა.

ამ სოფლებში განსაკუთრებით დაზარალდა საქონელი.

განადგურებულია შემდეგი სოფლები: ხიდისთავი, ტინის ხიდი, სვენეთი, სკრა, ხელთუბანი, კარალეთი, ცხინვალი, უფლის ციხე, ხოვლე, ხანდაკი, მეტეხი, დოესი, ამ სოფლების გარდა უკანასკნელ ცნობების მიხედვით გაოხრებულა შემდეგი სოფლები: ოხერა, ატენი, ქერელი, ყარაღაჯი თორტიზა, მეჯვრისხევი, ბეთლემი, რუისი, ქერელი, ბებნისი, ტიფის-ხიდი, ურბნისი, ყველაწმინდა, მავისი, ოთლისა, ღვარები, ზედაქსოვრისი, შინდისი, ბერსუკი, ოთარშენი, გრაკალი, სისირეთი, ბარბარიანთ კარი, საქოშეთი, გორა, ევკეთი, ნავისი, რეხა, ახალსოფელი, ზელდელეთი, ბევშუეთი, ნაწრეთი, ახრისი, პატარა-გორიჯვარი, დიდი-გორი-ჯვარი, და ჯებირი.

მიწის ძვრის მაგალითები საქართველოში.

მიწისძვრა—ეს ულმობელი რისხვა ბუნებისა—პირველი მაგალითი არ არის საქართველოს ცხოვრებაში.

საქართველოს ისტორიაში მოიპოვება მრავალი ცნობა მიწის ძვრაზე, მრავალჯერ ყოფილა საქართველოში უფრო საშინელი ძვრა, სანამ ეს იყო თებერვლის 20-ს.

მეთერთმეტე საუკუნეში, როცა საქართველოში მეფობდა მეფე გიორგი მეორე, ისეთი დიდი მიწის ძვრა მოხდა, რომ დიდი მთები დაიფშვნა, ქალაქები და სოფლები დაინგრა და მრავალი ხალხი დაიტანა ქვეშ.

ამ დროს განადგურდა მესხეთში საუკეთესო ქალაქი თმოგვი და ქვეშ მოიყოლა ამ ქალაქის უფროსი ნინია კახაბერი თავის ცოლით.

მეცამეტე საუკუნის დამლევს დიდი მიწის ძვრა დაიწყო ვნების კვირას. დიდ ხუთშაბათს, წითელ პარასკევს, შაბათს და ზედ აღდგომა დღეს კი ბევრი ნავნევი ქნა. მრავალი მონასტერი, ციხე, კოშკი და ქალაქ-სოფელი გაანადგურა მან ამ დღისით. მრავალ ადგილასაც ნავთი გამოჩნდა. სწორედ ამ დროს დაინგრა დიდი ტაძარი სვეტიცხოველი, რომელიც შემდეგ ააშენა მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

მეთვრამეტე საუკუნეში მიწის ძვრამ დააზიანა აგრეთვე ალავერდის ტაძარიც—კახეთში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ორი დიდი მიწის ძვრა იყო, ერთი: 1811 წელს და მეორე უკანასკნელი 1819 წელს აპრილში.

პირველ მიწისძვრისას დაინგრა ნინოწმინდის უძველესი ეკლესია გარე კახეთში, ხოლო მეორე ძვრა 1819 წელს, თბილისში სამი დღე გაგრძელდა. მრავალი სახლები დაიქცია. ასი წლის სიჩუმის შემდეგ მიწის ძვრა განმეორდა ქ გორს და მის მიდამოებში.

მიწის ძვრა სხვა ქვეყნებში

მიწის ძვრა თითქმის ყველაზე უბედური მოვლენა არის ხალხის ცხოვრებაში, რადგან იგი სრულებით მოულოდნელად ხდება და ვერც ვერავითარ საშუალებით შეაჩერებ.

მიწის ძვრას ყველგან მოჰყვებოდა ხოლმე საშინელი ნგრევა და განადგურება იმისი, რის შექმნასაც კაცი მთელ საუკუნოებით უნდებოდა.

მიწის ძვრა უფრო ცხელ ქვეყნებს არის შეჩვეული.

ას სამოცდა ხუთი წლის წინად (1755 წელს) ესპანეთის ქალ. ლისაბონი თითქმის სულ დაანგრია მიწის ძვრამ. ეს მიწის ძვრა გაგრძელდა სულ 5 წამს და დაჰღუპა სამოცი ათასი სული კაცი. ეს მიწის ძვრა ოთხ კვადრ. მილიონ ვერსის მანძილზე გავრცელდა.

ამერიკაშიც ამ ასი წლის წინად ორ მილიონ ნახევარ ვერსის მანძილზე მიწა ინძრა და დაჰღუპა სამი ათასი კაცი.

ინდოეთში მიწის ძვრამ სამასი ათასი კაცი ცოცხლად სამარეში ჩაიტანა

მიწის ძვრით ხშირად დაზარალებულა: გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ესპანია, იტალია, სპარსეთი, შვეცია, ნორვეგია, ბრაზილია, აფრიკა და სხვათა შორის საქართველოც.

არის ზოგიერთი ადგილები სადაც მიწის ძვრა რამდენჯერმე განმეორდა.

ქალაქი ლიმა ერთი წლის განმავლობაში თერთმეტჯერ დაინგრა ერთი წლის განმავლობაში ამერიკაში, ცხრაას ორმოცდა ათჯერ იძრა მიწა. ამ ათი წლის წინად ძლიერმა მიწის ძვრამ მიწასთან გაასწორა იტალიის ქალაქი **მესსინა**.

მესსინას დანგრევამ მთელი ქვეყანა აალაპარაკა. შემოწირულებები იკრიბებოდა მთელ ქვეყნად. მაშინ ქართველმა ერმაც კი გაიღო თავის მცირე წვლილი გაუბედურებულ მესინის მცხოვრებთათვის.

მიწის ძვრისაგან დანგრეული ადგილები

(ისტორიული საუბარი)

ჩემო მკითხველო, ჩვენ პირველ შეხვედრასთან ცუდი ამბის მთხრობელი ვიქნები. მიწის ძვრამ დაანგრია ქართლის მკერდი, ქართლის გული,—ჩვენი ლამაზი ქალაქი—გორი. ქალაქი მთლად დაქცეულია. არც ერთი სახლი არ არის გადარჩენილი ქალაქში შიგ რომ ცხოვრება შეიძლებოდეს. 19 და 20 თებერვალი გორისთვის მეტათ უბედური დღეებია.

მაგრამ ჩვენ, ქართველებმა ვიცით, კაცი რომ მოკვდება, ვიტყვით: გარდაიცვალაო, ესე იგი გამოიცვალა, სახე შეიცვალა, მისი სული უკდავია და მარტო სხეულმა შესწყვიტა სიცოცხლეო.

გორიც არ მომკვდარა, სულ მოკლე ხანში ქართველმა ერმა თავისი მადლიანი მარჯვენით უნდა ააგოს ახალი გორი, უფრო ძლიერი, უფრო ლამაზი...

სანამდე კი ზედმეტი არ იქნება, რომ გაგიზიარო წარსული ამბები, წარსული სურათი ქ. გორისა და მის მიდამოებისა.

ქ. გორი

ქ. გორი ქართლის გულია მას მეტად მშვენიერი, ხელსაყრელი მდებარეობა აქვს.

თვითონ გორი დგას მდინარე ლიახვზედ. აღმოსავლეთით მოსდგამს კვერნაკი, ჩრდილოეთიდან მთა რუისისა, სამხრეთიდან მთა ბურეიისა და გორიჯვრისა. ამ მთის ძირას, გორსა და მთას შუა ჩამოდის მდ. მტკვარი.

ჩრდილო მხრიდან დგას დიდი ისტორიული ციხე, დასავლეთით გვირაბი მტკრამდე. ადგილი ჰავა, არი შვენიერი, წყალი კარგი, გორებიანი ვენახებითა და ბაღებით სავსე. ზაფხული კარგი, ზამთრობით ცივა, ქარიანი, სანადირო მოუკლებელი ფრინველით, თევზით და სხ. ხილი მეტად ბევრია და გემოიანი. მოსახლეობენ ქართველები, სომხები, ტანადი და ლამაზი ხალხი.

ისტორიაში კარგად არა ჩანს თუ ვინ ააშენა ქ. გორი უძველეს ქართულ ისტორიაში მარტო ერთი ძვირფასი ცნობაა გორზე.

მერვე საუკუნეში საბერძნეთში გაძლიერდა კეისარი ერეკლე, ამან შიშის ზარი დასცა თავის მეზობლებს და განიზრახა სამუდამოდ დაემარცხებინა თავისი მოსისხლე მტერი—სპარსეთი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა საბერძნეთს.

მან შეკრიფა დიდძალი ჯარი და საქართველოდან დაუწყო ბრძოლა სპარსეთს.

სხვათა შორის გორში, როგორც მოხერხებულ ალაგას დააგროვა სურსათი იარაღი და მაშველი ჯარი დაიყენა. აქვე ჩაფლა ის აუარებელი ოქრო-ვერცხლეულობა რომლის წაღებაც სიმძიმის გამო ვერ შესძლო. ამის გამო ამ ადგილს უწოდა ტონთიო, ე. ი. ოქროს მთა.

ზევითაც მოვიხსენიე, რომ გორი მეტად ხელსაყრელი ალაგია მეთქი. ჰო და ამის მიხედვით, უძველეს დროიდან აქ ქალაქი იყო გაშენებული მაგრამ მე 12, საუკუნოში საქართველოში მოხდა დიდი მიწის ძვრა რომელმაც იმსხვერპლა მრავალი ქალაქ-სოფელი, ციხე და მონასტრები. ასე გორს მაშინაც ეს დღევანდელი ბედი ეწვია.

განადგურებული ქალაქი ხელმეორედ გააშენა და გაავსო დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა, რომლის სახელსაც ქართველი ხალხი არა დროს არ დაივიწყებს.

სხვათა შორის აქვე დაასახლა სომხეთიდან (ქ. ანისიდან) გამოქცეული განადგურებული სომხები.

დავით აღმაშენებელმა, ქალაქს მაგარი კედლები მოავლო და საუკეთესო დამცველი ჯარიც ჩააყენა.

გავიდა კარგა დრო და საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. საქართველო ხელთ ჩაიგდეს თათრებმა და მე 16, საუკუნეში ქ. გორიც თათრებმა აიღეს. მაგრამ ქართველი ხალხი რომლის გმირობა განთქმულია თავის დღეში არ დაჰმონებია მოზღვავებულ მტერს და ეხლაც მე 16, საუკუნეში საქართველოს გამოუჩნდა გმირი მეფე სვიმონი, რომელმაც სასტიკად დაამარცხა ოსმალები. ქალაქი აიღო და მთელი მისი ციხე-გალავნები იმის შიშით რო არ დაეჭირათ ხელახლა ოსმალებს, ძირიანათ გაანადგურა. ეს მოხდა მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს 1599 წელს.

1634 წელს საქართველოს ტახტზე ავიდა გათათრებული მეფე როსტომი.

ამას მხარს უჭერდა სპარსეთი. ამიტომ სპარსეთიდან გამოიწვია ოცდა ათი ათასი ჯარის კაცი და რო საკუთარი მტკიცე სიმაგრე ჰქონოდა ორმოცი დღის განმავლობაში ააგო გორში ის მშვენიერი და მაგარი ციხე რომელიც ახლა ასდააზიანა მიწის ძვრამ.

როსტომ მეფემ შიგვე ჩააყენაჯარიე ეს აქედან შიშის ზარსა სცემდა მონობაში ჩაბოჭილ ქართლს.

1617 წელს აქ დადგა საქართველოს გამავერანებელი შაჰაბაზი, სპარსეთის ხელმწიფე და აქედან ემუქრებოდა იმერეთში შეფარებულ ქართლ-კახეთის გაქცეულ მეფეებს: ლუარსაბს და თეიმურაზ I-ლს.

ციხის გარდა მეფე როსტომმა გორში ააგო ყიზილბაშთა რიგი სასახლე შემკული ლამაზი ბაღჩებით და დიდ-მშვენიერ შადრევნებით.

შემდეგ გორი ისევ მოოხრდა მაგრამ მეფე ვახტანგ მეოთხე კანონმდებელმა გორი ისევ განაახლა, მაგრამ ბედმა ვერ დააცადა ქ, გორის აშენება და აძულებული გახდა რუსეთში გადასახლებულიყო და საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანს უცხო ცის ქვეშ, რუსეთში დალია სიმწარით თავისი უკანასკნელი დღეები.

1710 წლიდან გორი ისევ ოსმალებმა დაიპყრეს.

შემდეგში გორი ყეინმა ნადირმა გაანადგურა და გადასცა თეიმურაზ II-ეს „პატარა კახის“ მამას, რომელიც ცდილობდა ქალაქი გაეშენებინა და მოსახლეობით აევსო.

ირაკლი მეორემ, საქართველოს გმირმა და არწივმა დიდი ყურადღება მიაქცია გორს, აქ ჩააყენა ჯარი და აქედან იგერიებდა ლეკების მოუსვენარ თარეშს.

როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მთავრობამ გორი სამაზრო ქალაქად გამოაცხადა.

გამოიცვალა დროება, გამოიცვალა ცხოვრება და გორის ციხემაც დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. მისი მაგარი კედლები მოგვაგონებდნენ მარტო წარსულს დროებას როცა ქართველს ცალხელში ეჭირა ჯვარი და მეორეში ხმალი. დღეს მისი საყვარელი მდებარეობა არი ჩვენთვის ძვირფასი და ჩვენც უნდა ვეცადნეთ რომ ამ ალაგს ისევ წამოვჭიმოთ ლამაზი, მტკიცე და ქართული გორი!...

გორის-ჯვარი

მიწის ძვრამ ძირიანათ მოსპო უძველესი ისტორიული ნაშთი და სრულიად ქართლის სახელგანთქმული სალოცავი გორისჯვრის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც უხსოვარ დროიდან არის აშენებული, იგი იდგა გორის სამხრეთით მაღალ მთაზე. და დიდ დღეობას იმართავდა გიორგობისთვის 10-ს. დიდად გამშვენიერება ეკლესიისა ეკუთვნის თამარის ასულს დედოფალ რუსუდანს (13 საუკ.) რომლის ბრძანებით ტაძარი და მის ეზოში გამართული წყალსადენი განაახლა მეფე ირაკლი II-ის მეფობის დროს ოთარ ამილახვარმა.

მთელ საქართველოში განთქმულია გორიჯვრის უდიდესი ვერცხლის ჯვარი ოქროში დაფერილი შეწირული მეფე ალექსანდრის 1-ლის მიერ, რომელიც ახლა ეკუთვნის თ—დ. გიორგი ამილახვარს და რომელიც მთავრობას 1 მილიონ მანეთად შეუფასა.

უფლის ციხე.

მიწის ძვრამ დააზიანა საქართველოში უუშესანიშნავესი უფლის ციხე. ეს უძველესი და ერთად-ერთი გადარჩენილი წარმართული ქალაქი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ დღემდე ჩვენგან სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, გამოკვეთილია კლდეში. კლდისაგან გამოქანდაკებულია. მისი დიდი გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფულია მტკვრამდე. დასავლეთით აქვს მაღალი ქარაფი, რომელშიც მეტად ბევრია გამოკვეთილი ქვაბები და სენაკები, აქამდე შიგ მრავლად იყო გადარჩენილი სასახლეები, სახლები, სხვადასხვა საღვურები, საჯდომები, საწოლები, აუზები, კიპები, და სხვა.

უფლის-ციხის ნანგრევებზე მრავლად დარჩენილია არაბული და კუფიური წარწერები. ღსანიშნავია ის, რომ არმაზის შემდეგ უფლისციხე იყო ერთად-ერთი წარმართული ქალაქი, სადაც არ მოიპოვება არც ერთი ქრისტიანული ნაშთი, გარდა აგურით აგებულ ეკლესიისა რომელიც მე-X საუკუნის ბოლოში აუშენებია ბაგრატ III-ნს.

სომხურ ცნობის მიხედვით 837 ქალაქ. უფლის ციხე აიღო სუმბატ ბაგრატიდმა. შემდეგ აქ აფხაზთა მეფე გიორგიმ დაატყვევა ქართველთა მეფის კონსტანტინის ძე.

მე-X საუკუნის დასაწყისში მესამედ მოხდა ქ უფლისციხის გარემოცვა, როცა მას დიდძალი ჯარით შემოადგა სამცხის კუროპალატი თავით იმ დროს, როცა საქართველოს განაგებდა თავადი იოანე მარუშიძე—920 წელს.

უკანასკნელი მისი განადგურება ეკუთვნის მონგოლებს—ჩინგის ხანს რის შემდეგ ეს დიდებული ქალაქი უდაბნოდ გარდიქცა.

გ. ლეო—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კაიშაური.

სტამბა ამხ. „ხელოვნება“ ვულიამინოვის ქუჩა № 20.